



# საქართველო

**წარმომადგენელი**  
 ხელის მოწერა და დასაბუთება: განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უძეგლებს გარდა, დღის 9-3-მდე, საღამოს 5-7-მდე.  
 ხელმოწერილი წერილები არ დაბეჭდებიან; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ იხილება; იხილება ერთი თვის მხოლოდ დიდი წერილები და მოთხოვნანი.  
 რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.  
 ფოსტის ადრესი წერილებისა და ფურცლისათვის: Тифлиси, редакция „Сакартвело“, поч. ящик № 76.

**განცხადების წესი:**  
 წევრებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტითი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

**საქართველოს კანტორისაგან**  
 გაზეთი „საქართველო“ I ივლისიდან წლის დამლევაამდე ღირს 4 მან. 50 კ., I ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ. მოვარდნებით „კლდის“ იმ ხელის მოწერით, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ I ივლისამდე.  
 მისამართი: გ. თბილისი, რედაქცია „საქართველო“, Московская 4, поч. ящик № 76.  
 კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მოწერით დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## ო მ ი ს დ დ ი უ რ ი

### მიმოხილვა

რიგა-კოვნოს რაიონს თანდათან უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე აქამდე ჰქონდა. გერმანელებმა რომ გახეზოტიდან ვოლდინგენისკენ შემოტევა დაიწყეს, შეიძლება და მოძრაობის დემონსტრაცია ჩათვალა: დაუჯერებელი იყო, რომ იმ დროს, როცა სამკლერო-სასიცოცხლო ბრძოლის პედივისლისა და ნარევის ნაპირებზე უნდა გადაწყდარიყო გერმანიის დიდი ჯარი გამოეგზავნა მეტად მოშორებულ ბალტიკაში. ენლა რუსული გაზეთები დაეინებით ამტკიცებენ, რიგა-კოვნოს მიმართულებით მოპირდაპირეს შვიდი კორპუსი და ცენოსანთა ძლიერი რაზმი ჰყავსო. თუ მართალია ეს ცნობა, თუ გერმანელებმა თითქმის ამ უმნიშვნელო კუთხეს 300,000-ზე მეტი მებრძოლი შეაყენეს, მაშინ მათს მოძრაობას ეძლევა ხასიათი არა მარტო დემონსტრაციული, არამედ სტრატეგიულიც, ვინაიდან შეუწყვეტელი წინსვლა შეიძლება გადაიტაცეს შორეულ მოვლად.

წინავე პოზიციებზე, მაგრამ მათი იერიშები მოვიგერიეთ. ვისლასა და ბუგის შუა, ლიუბლინის მიმართულებით ამავე დღეს მოპირდაპირე ცდილობდა ბელუციცკენ წამოწევას. ხმელ-ვოისლავიცეს ფრონტით მედგარი ბრძოლა გრძელდება. 9 ივლისს ღამე ჩვენმა ჯარმა მრავალჯერ კონტრიერში მიიტანა და მიაღწია მტრის საარტილერიო პოზიციებს, მაგრამ ბრძოლის პირობებისა გამო ზარბაზნების წამოღება ვერ მოახერხა. გრუბეშოვის რაიონში მტერმა მოაგროვა დიდძალი ჯარი და მეტად მედგარი ბრძოლის შემდეგ მოახერხა ჩრდილოეთით წამოწევა. ბუგის ნაპირებზე, სოკალის მიდამოებში ამავე დღეს წინადასრულდა პოზიციებზე ვიბრძოლით; მოპირდაპირეს აქ ახალი ჯარი მოუყვანია. სხვაგან ცვლილება არ მომხდარა.

**მეურნე**  
 სამშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა № 6) დანიშნულია მომხმარებელი საზოგადოების

**მეურნის**  
 დამფუძნებელი კრება. კრების საგნები: 1) მოხსენება ღრობითი გამგეობის თავის მოქმედების შესახებ; 2) მორიგი საკითხები; 3) ახალი წევრების მიღება; 4) გამგეობისა და სარევიზო კომისიის არჩევა.

**მეურნე**

### პირველხარისხოვანი

## „კ ა ფ ე ბ ო რ დ ო“

მიხილის პრისპექტზე, № 18 და მიხილის ქუჩაზე № 1.  
 ყველა ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუბრე დღის 9 საათიდან 12 საათამდე. საღამო 1—6 საათამდე. საღამო 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საკმელები: ხარო, ღამი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროკები“. თვითრად მოსადილე შეღავათი ეძლევათ, სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დღის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატივისცემით რაჟდენ იოსელიანი.

იმ საშინელ ცაცხლის გამო, რომელმაც იხსვერკა პარტული თიბარი და თავად-აუნაშრომის სხვა ფენობები, დროებით დაკმათილი

### „კაფე პარიზი“

გაიხსნა წინადასრულდ ფენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ძარბასლაში, იგი გამწვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.  
 ყოველ დღე გააქვს ვერძული და ჩვენებური საკმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყურა ბალი, სანარდღე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღამი, საცივი და ყოველგვარი იმერული საკმელები. თვითრად მოსადილე დიდი შეღავათი.  
 პატივისცემით დ. გიგინია.

## ირ. ევლოვვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. მთელი შემოსავალი მეგოსანს გადაეცემა.  
 „საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა 0—8

### საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიული საზოგადოების საბჭოსაგან:

თანხმად წლიურის კრების დადგენილებისა, საბჭო იწყებს მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველის მცირე თანაშემწის, რომლის სასყიდლად კრების მიერ გადადებულა ამ ხანად თვეში ხუთ-ხუთი თუმანი. საბჭოს დადგენილებით ამ ადგილზე საჭიროა მოწვეულ იქნას „საზოგადოების“ მთავარ მიზანთა შესაფერის განათლებისა და მომზადების პირობის ისტორიკოსი ან ფილოლოგი. მცველის თანაშემწის ფუნქციები და მოვალეობანი მსურველთა შეუძლიათ გაიცნონ საბჭოს მიერ შემუშავებულ ინსტრუქციადგან მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველისა და მისი თანაშემწეებისათვის.  
 ადრესი: Тифлиси. Грузинское О-во истории и этнографии. მუზეუმ-ბიბლიოთეკა და კანცელარია მოთავსებულია ქართულ გიმნაზიის შენობაში.

**მ. გ. მ. შ. შ. შ.**  
**ქეიგი ნ. მ. კლიმაშვილი**  
 ღმრს შინაგან და ქორტრგიულ სწეულე-ბიან ავადმყოფებს.  
 აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

**ლოკატორი ვედიცინისა**  
 მოსე ანთიმოსის მე

**კალანდარიშვილი**  
 უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.  
 ბავშვთა, შინაგან და ქორტრგიულ სწეულე-ბიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

**ქილის ექიმი**  
**ნილო რცხილაკი**  
 იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კორპიანი შესახვევის 21.

ნარის ნაპირები, წინადასრულდ დამზადებული პონტონის ხიდების ნაწილები მიიზიდოს, უნდა შეიკრას ეს ხიდები და ნაპირებს მიებას. ამის შემდეგ მოპირდაპირე ახდენს დემონსტრაციის, ე. ი. რამდენიმე ალავს ლამობს გადასვლას და ცდილობს მტრის მოტყუებას, მის ყურადღების მოცილებას იმ ადგილიდან, სადაც იგი ნამდვილად აპირებს გადასვლას.

10 ივლისს გერმანელებს მოუხერხებიათ პულტუსისა და როჯანის შუა ნარევის გადმოღობვა და ცდილობენ ფეხის მომარტებას და გაცვლულ გზის გაფართოებას, რათა სხვა ჯარსაც გაუადვილონ გადასვლა. აქ ნარევი იხსლავება და მიხვეულ-მოხვეულად მიდის, ამიტომ გადმოსული გერმანელთა ჯარი ემუქრება რუსის ჯარის ფრთებსა და ზურგს. ერთ ადგილზე გადმოსვლა თავის-თავად ბევრს არათერს ნიშნავს. საჭიროა ოპერაციის გადმოტანა მეორე ნაპირზე, მოქმედების გაფართოება, გაშლა და მდინარის საკმაო ნაწილის ხელში ჩაგდება, ამიტომ ხიფათზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მით უფრო, რომ ნარევის გარდა გერმანელებს წინ მეორე დიდი მდინარე—ბუგი დაუხვდებათ.

ვისლის გაღმა მოპირდაპირე მოაწვა პაისერსო, რომელიც მდებარეობს ვარშაგის სამხრეთით 18 ვერსზე და ვისლის დასავლეთით 10 ვერსზე.

ლოუბლინ-ხოლმის წინ რუსის ჯარს შეუტრებია მოპირდაპირე, რომელიც მხოლოდ გრუბეშოვის მიმართულებით მიიწევს წინ.  
 იგი ამოსულა გოროდლომდე, რომელიც მდებარეობს ბუგის მარცხენა ნაპირზე, გრუბეშოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით 12 ვერსზე და ვლადიმირ ვოლისკის ჩრდილო-დასავლეთით 20 ვერსზე.  
 ამ რიგად, დღეს ნარევის ფრონტს უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე ხოლმე-ლოუბლინის მიმართულებას, სადაც მაკენენი, თქმა არ უნდა; მხოლოდ დროებით შეჩერდა.

**მ. ბ. —ლი.**

### დეკაუბერი

თბილისი, 11 ივლისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 9 ივლისს ზღვის რაიონში მწვერავთა შეტაკება მოხდა. კობი და პსრუსას რაიონში მუშის მიმართულებით ბრძოლა განახლდა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

12 ივლისი. 10 ივლისს ზღვის რაიონში სრულდა. ოლთისის მიმართულებით თევაზ რაიონშიც სრულდა. კობი-გელ-ბაშის ფრონტზე მუშის მიმართულებით მავშელ-ჯარით გაძლიერებულ იქნა მთლიან რაზმები შემოტევაზე გადავიდნენ. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.

პატრონბადი, 11 ივლისი. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. მიტავისკარაიონში 10 ივლისს ბრძოლა არ ყოფილა. მიტავის ხაზით იანიშკისა, შავლისა და როსიენის ფრონტით მტერი კვლავ აღმოსავლეთისკენ მოიწევს. ნარევის ფრონტზე 8 ივლისს ღამით მდინარე პისის მარცხენა ნაპირზე მოპირდაპირე შხამიან ყუმბარებს ხმარობდა და იერიშებით მოდიოდა, მაგრამ უკუქცეულ იქნა. მან მთელი თვისი ძალ-ღონე მოიკრიბა და 10 ივლისს ისევ ცდილობდა ნარევის გადმოღობვას როჯანისა და პულტუსის შუა. სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ვისლის ნაპირებზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. მტერმა რამდენჯერმე იერიში მოიტანა ნოვოგორიევისკისა და ივანგოროდის მო-

შე ზღვაზე, ბოსფორის რაიონში, ჩვენმა ნაღმოსნებმა ზარბაზნები დაუშინეს მტრის ცენოსანთა ბანაკს, მიაყენეს მას ზარალი და აუფეთქეს სამხედრო მასალა.

მთავარ შტაბისაგან. ავსტრიის ოფიციალი ცნობა ამტკიცებს, რომ ზალეშჩიკის მიდამოებში ჩვენი ჯარი რვა წყებად მიიწევდა. პირველი წყება ვითომ უიარაღო იყო, მას ტყვედ ჩაგარდნა უნდოდა და ხელაშვილი მიდიოდა. ავსტრიელებმა ვითომდა უიარაღო რაზმს თოფი დაუშინეს და საშინელი ზარალი მიაყენეს მას. ავსტრიელები იმასაც აცხადებენ, რომ შემდეგშიაც არ მოტყუდებიან და შემდეგშიაც ასე მოქცევიან. ამის გამო შემდეგი უნდა განაცხადოთ: ზალეშჩიკის რაიონში ჩვენ არ შეგვიტევა, ხოლო ავსტრიელთა საუსტი იერიში თოფ-ზარბაზნით მოვიგერიეთ. ჩვენი მოპირდაპირის უპატიოსნო სიყალბე იხსნება იმით, რომ მისი ჯარი ხშირად ღამ-ღამობით უმიწეოდ თოფის სროლას ატყეავს ხოლმე. ვითორ დღეს კი მოხსენებას სწერენ ვითომდა ჩვენი იერიშების მოგერიების შესახებ.

პატრონბადი, 12 ივლისი. მთავარსარდლის შტაბისაგან. მიტავის რაიონში არსებული ცვლილება არ მომხდარა. შავლიდან და როსიენიდან მომავალ შარა-გზებით გერმანელები წინ მიიწვიან პონევეჟსკაკენ. პონევეჟის რაიონში და აგრეთვე მდ. ლავენტაზე თერთმეტ ივლისს ბრძოლა იყო გამართული. ათ ივლისს მთელი ღამე და თერთმეტს დილით გერმანელებმა მრავალი მკაცრი იერიში მოიტანეს ნარევის ფრონტზე, მდ. პისის მარჯვენა ნაპირის გაყოფილებაზე, ნერგატკის რაიონში. აქ ვერავითარ უშედეგს ვერ მიადღეხ, ისე-კი დიდი ზარალი მოუვიდათ. ოსტროლენკასა და როჯანის შტაბის მდებარე ადგილებში რუსებმა ყოველთვის უკუაგდეს გერმანელების იერიში და ზოგიერთ პუნქტზე ხელი შეუშალეს მდ. ნარევიზე გადმოსულიყვენ. როჯანა—პულტუსის შტაბის მდებარე ადგილებში გერმანელებმა თავიანთი ჯარის ერთი ნაწილი გადმოიტანეს მდინარე ნარევის მარცხენა ნაპირზე და შეუდგნენ თავიანთ პოზიციის გამაგრებას. ვისლას მარცხენა ნაპირზე, პაისერსოს მიმართულებით გერმანელებმა რამდენიმე უნაყოფო იერიში მოიტანეს. რუსების კონტრიერებით შეჩერებულა გერმანელები წინ მოიწვიან ვისლასა და ბუგის შტაბის მარტოდ-მარტოდ გრუბეშოვისკაკენ, სადაც თერთმეტ ივლისს ღამე და მეორე დღესაც რუსები იგრობდნენ მტრის იერიშებს ვისლავიცი—გოროდლოს ფრონტზე. ბუგზე, ვოლოტაია ლიპაზე და დნესტრზე მოპირდაპირებს შეხლა არა მქონით, გარდა სოფელ დობროტკოვისა, სადაც ფრინად სასტიკი ბრძოლა

გაიმართა ნაწილობრივი ხასიათისა. მტრმა ვერ მოასწრო გამაგრება ბუვის მარჯვენა ნაპირზე.

ნსპაპანი, 10 ივლ. ჩამოვიდა 5 გერმანელი აგენტი და რამდენიმე შეიარაღებული ავსტრიელი. გერმანელები ქუჩებში დასერიანობენ შეიარაღებულ სპარსელთა თანხლებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ აკრძალული აქვთ ასეთი დემონსტრაცია.

პარაშაპ, 10 ივლ. ვარშავასა და მის მიდამოებში მრავალი ქარხანა და ფაბრიკა. ნაწილი ამ ქარხნებისა ამზადებს სამხედრო მასალას. ვინაიდან შეუძლებელია ამ ქარხნებში მიწოდება ნედლი მასალის და ნახშირისა და რადგან ბრძოლის ველი ამ რაიონს დაუახლოვდა, გადაწყვეტილია გადატანა შუა რუსეთში ამ ქარხნებისა, რომელთაც უდიდესი სამხედრო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

სოლუნი, 10 ივლ. ოფიციალ სტატისტიკური ცნობებით მცირე აზიიდან და ფრაკიიდან გადმოხვეწილთა რიცხვი უდრის 108,000 კაცს. მათ მიერ თავდასხმებული ქონება ფასობს 358,000,000 ფრანკად. გარდა ამისა კუნძულებსა და სახეობებში დაზინავებულია 140,000 გადმოხვეწილი.

სტოკოლმი, 10 ივლ. ვისბიდან იწყებოდა: ამას წინადა რუსეთის ესკადრის მიერ ჩაძირული ნაღმის ჩამოყვები „ალბატროსი“ ამოიღეს.

რომი, 11 ივლისი. მთავარ შტაბისაგან. მდინარე იზონკოს ნაპირზე ბრძოლა ისევ სწავლობენ. თანდათან ცხადი ხდება ჩვენი გამარჯვება. კორსოს მიდამოებში 9 ივლისს დილით ავსტრიელებმა ჩვენი ჯარის მარცხენა წვერი იერიში მოიტანეს. ჩვენმა ჯარმა, მიუხედავად დიდი ზარალისა, შეინარჩუნა თავისი პოზიციები და შეიჭრა მოპირდაპირე. შემდგომ მავშელ ჯარის მოსვლისა ჩვენ მტერი დაეშინებინათ, ვსდევნეთ და დავატყვევეთ 1500 კაცი.

ათინა, 11 ივლისი. ოსმალეთის ელჩი აცხადებს: მარბარლოს ზღვისა და აივანის ნაპირებიდან ქრისტიანები იმითმად გადავასახლეთ, რომ მოკავშირეთა წყალქვეშას სურსათს აწვდიდნენ.

რიმა, 11 ივლ. გადაწყვეტილია რიგის ქარხნებისა და საწყობების გადატანა შუა რუსეთში. მასალა, მანქანები და მუშები უფასოდ გადაჰყავთ და გადააქვთ. რიგის ყველა ქარხანა სამხედრო სურსათ-მასალას ამზადებს, ამიტომ მტრის მოხლოების გამო მათ გადატანას უდიდესი სამხედრო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

პატროზადი, 11 ივლ. მინისტრთა საბჭომ დაადგინა: გავრცელებულ იქნეს 13 მარტის 1915 წლის დროებითი უკეთესი შესახებ დახმარების აღმოჩენისა სამოქალაქო უწყებების მოხელეთა ზოგიერთ მარტებში შესარაბებისა, პოდოლისა, ვოლინიისა, გროდნისა, ვილნისი, კოვენოსი, ოლეინისისა, ერაგონისა და ქუთაისის გუბერნიებისა და აგრეთვე კარსისა და ბათუმის ოლქებში.

ლონდონი, 11 ივლ. შვედური გემი „კაპელა“, ხე-ტყით დატვირთული, გერმანიის წყალქვეშა ნავმა დასწვა. მებრძოლები გადაარჩინეს.

პრეტორიიდან იწყებოდა: სამართალმა აჯანყებულ გენერალ კემპს მიუთარჯა შეიდი წლის ციხე და ათი ათასი მანეთი ჯარიმა.

ვაშინგტონი, 11 ივლ. ამერიკის ნოტა მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ გერმანიის პასუხი სრულიად არ აკმაყოფილებს ამერიკის მთავრობას, ვინაიდან ეს ნოტა არა სპობს ორ მთავრობათა შორის აღორძულ უთანხმოებას და არ აღნიშნავს იმ საშუალებებს, რომლითაც უნდა განხორციელდებოდა იქნას პრინციპი კანონიერებისა და კაცობრივობისა. პირიქით, ნოტა გერმანიისა ზოგან უარყოფს ზემოაღნიშნულ პრინციპებს. ამერიკის მთავრობა სთავაზობს მათ აღნიშნავს, რომ გერმანია აღიარებს საერთოდ ამ პრინციპებს და თანახმაა შესცვალოს წესი წყალქვეშა ნავთა ბრძოლისა საეპურა გემებთან. მაგრამ ამერიკის მთავრობას არ ესთამოვნება განცხადება შესახებ იმისა, რომ გერმანია ნამდვილად ვერ განახორციელებს ამ წესებს ნეიტრალ სახელმწიფოებში მიმართ, ვინაიდან ეს წესი ბრძოლისა ნაკარანხევი ინგლისის პოლიტიკით. ამერიკის მთავრობა ინგლისის პოლიტიკის მოსამართლედ ვერ გამოვა. უკანონო საქციელის გამართლება არ შეიძლება თუ ისეთი საქციელი ნეიტრალ სახელმწიფოს უსპობს უცილობელ უფლებას ვაკრობისას. თუ ასეთი წესი ბრძო-

ლისა არ მოიპოვ, ნეიტრალ ეროვნებას თავისი უმალესი უფლება ეკარგება. ამერიკა მზად არის აღიაროს ახალი წესი საზღვაო ომისა, მაგრამ იგი ვერ შეურიგდება ამერიკელ ხალხს ძირითად უფლებათა დარღვევას. ამერიკის მთავრობა წინადადებს აძლევს გერმანიას დაპყრობის მან „ლუბიტანის“ დაღუპვა, და ბოლოს სწერს: ამერიკის მთავრობა ვერ დაეთანხმება გერმანიის თხოვნას, რომ ჩვენ წინადაწინვე შევაცუბინოთ ხოლომე სახელი იმ გემისა, რომელსაც გერმანიის წყალქვეშა ნავები არაფერს დაუშვებენ, რადგან ასეთი შეთანხმება იმის მომასწავებელი იქნებოდა, ვითომ გერმანიის უფლება ჰქონდეს დაღუპოს ხოლომე დანარჩენი, ჩვენ მიერ დაუსახელებელი გემები“.

პატროზადი, 11 ივლ. ოფიციალი. ბრძანება უაგუსტოს მთავარსარდლისა 26 ივლისს თარიღით. როცა ჩვენი ჯარი გალიციიდან უკან მოდიოდა, ჩვენი მტრების წყალობით ჯარსა და ხალხს გავერცელდა ჭირი აღმოჩენილ ახალ ლალატის შესახებ. ამ ჭირს იმითმად ავრცელებენ, რომ ისარგებლონ ჩვენი დღევანდელ მდგომარეობით და მოუსპონ ხალხსა და ჯარს რწვენა მთავრობისა და ჯარის სარდლებისადმი. როცა ნამდვილად დამტკიცებულ იქნა ლალატი მისათვლით, ფრეიბერგისა და ზალცმანისა, ისინი სამართალში იქნენ მიცემული და ღირსეულად დასჯილი. ასევე სასტიკად მოვეციკვეთ შემდეგშია ცველას, ვისაც დაუშტკიცებთ ლალატს. ასეთ მნიშვნელოვან საქმეში სასტიკად ვსჯილი და შემდეგშია დავსჯი ჯარსა და ხალხს სულსა და გულის ამრევად ჩავთვლი ყველას, ვინც ლალატს სწამებს უდანაშაულოს, ან ყველას ვისაც რუსული გვარი არა აქვს და ვინც პატროსნად ასრულებს თავის მოვალეობას წინაშე მეფისა და საიდებელად მამულისა. ცხადია, რომ ასეთი ჭირი ვრცელდება მტრის ბანაკიდან, ამიტომ თვით მტკორენი სახმედრო სამართალს სასტიკად დაისჯებიან. მტკიცედ მრწამს, რომ წმიდა რუსეთის ერთგულ შვილებს სჯერათ ჩემი მეფისადმი ერთგული სამსახური, გულშემატკივანად მოვსდები მთავრობას და აღიჭურვებიან ღრმა რწმენით, რომ შეწყვენითა დღვისათა, მიუხედავად ჩვენის მტრების ყოველგვარ ოინებისა, ჩვენს მიმე საქმეს გამარჯვებით დავაგვირგინებთ.

ხელმწიფე იმპერატორმა წმიდა გიორგის იარაღი უბოძა კავკასიელ ცხენოსანთა დივიზიის სარდალს დიდ მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს.

ჩიკაგო. მიდინარეზე გადაბრუნდა საექსპორტო გემი. აქომამდე ხუთიანი დამხვალე წყლიდან ამოიღეს. დამხვალეთა რიცხვი 1200 იქნება.

ლონდონი, 11 ივლ. რეიტერის სააგენტო იწყებს: მთელი ინგლისის ხალხი აღტაცებით თვალყურს ადევნებს რუსის ჯარის გასაოცებელ სიმამაცეს და მის თავგანწირულ ბრძოლას. პრესა იმედს გამოთქვამს, რომ დიდი მთავრის ჯარის შეუპოვარი წინააღმდეგობა რუსეთის სასარგებლოდ დაგვირგინდება.

ვაშინგტონი, 12 ივლ. გერმანიის ნოტის გამოქვეყნების შემდეგ ვილსონმა ბრძანება დაუბანა სამხედრო-სახელვაო დაწესებულებებს, წარმოადგინონ მოხსენება ეროვნულ თავდაცვის საკითხის შესახებ. ამას წინადა ვილსონმა მოიწონა საზღვაო პროგრამა და გადასცა განსახილველად კონგრესს. ამერიკის ფლოტის გასაძლიერებლად ვილსონს განზრახვა აქვს ახლობელ ეპისტოლეში კონგრესის მიმართ შეიტანოს პროგრამა არმიის განვითარებისა.

ლონდონი, 12 ივლ. ოფიციალი ცნობა დარდაწულში მოქმედების შესახებ. 11 ივლისს ოსმალეებმა იერიში მოიტანეს ინგლისელთა მარცხენა ფრონტის ჩრდილოეთის სანგრებზე. ინგლისელებმა ფრონტის სანგრებიდან თოფ-ზარბაზანი დაუშინეს თავდასხმელთ. ოსმალთა მცირე რაზმები, სარტბლერიო ცეცხლის მოშველებით, მიუახლოვდნენ ინგლისელთა სანგრებს. ინგლისელებმა ორი ტყვიანიფრკვეცილი ამოქრედეს ოსმალთა იყვნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ბრძოლის ველზედ ორმოცდაათამდე მკვლარი დასტოვეს.

სოფია, 12 ივლ. სტამბოლში მყოფმა გერმანიის ელჩმა ვანგენჰეიმმა გუშინ საღამოს გამოიარა სოფიაში და ინახულა მეფე რადოსლავოვიტურთ. ვანგენჰეიმი დღეს მიემგზავრება ბუქარესტში.

პატროზადი, 12 ივლისი. ოფიციალი. სასანიტარიო და საევაკუაციო ნაწი-

ლის წინაგარი გამეგ ბრძანებს: „ეჭიშთა ნაკულევენებამ დიდად იჩინა თავი სამხედრო მოთხოვნილებათან ერთად. მთავრობა ამისთვის მთელ რიგ ზომებს მიჰმართავდა. სამწუხაროდ ამ ზომებმა ვერ შესძლო სიძნელის გადალახვა განსაკუთრებით ეპიდემიურ ავადმყოფობის სფეროში. ამიტომ ვაარსებ განსაკუთრებულ კომისიას ერობათა კავშირებისა და ქალაქთა კავშირების, და წითელი ჯვრის გამგებისაგან. კომისიას უფლება ეძლევა ზოგიერთ შემთხვევაში სხვა პირებსაც ნება დართონ მომწილოება მიიღონ.“

სურსათ-გაზთიფილან

ფანტასტიურ სამეფოს ხელმწიფე. კოვნიის გუბერნიიდან გამოქვეყნული ლტოლენი ამზობენ, რომ გერმანელები მცხოვრებთ შორის ავრცელებენ ბროშურებს ლიტურ ენაზე, გერმანიამ გადასწყვიტა ლიტვის ორივე ნაწილი დიდი (რუსეთის) და პატარა (პრუსიის) შეიარაღისა და შეჭმნას თავისუფალი სამეფო. ამ ფანტასტიურ სამეფოს საზღვრებში შევა ბალტიის ზღვის ნაწილიც ლატვია. მმართველობა მიენდობა სეიმს. შედგენილობაში შევლენ ლატვიები და ლიტვიები. ამ ორ არსებულ სახელმწიფოს მეფე უკე აურჩევიათ, ეს გახლავთ-ჟილვლის უმცროსი ვაჟი პრინცი იოხანბი, რომლის სურათიც ბრიშოურის თავზეა მოთავსებული. ეს წიგნაკი გამოუყლით ბერლინიში. (პ. ვ.)

ინგლისის ბლოკადის შედეგი. როგორც „ტაიმსი“ დამოუკცემს ინგლისელებს ბლოკადის ის შედეგი მოჰყოლია, რომ ამერიკელებს თუ გასულ წელს გაუტანიათ 2,800,000 გარვაჟა, წელს მხოლოდ 8000 გირვანქის საქონელი. ეს ფაქტი გერმანელებს სააგიტაციო მასალად გამოუყენებიათ და ამერიკელებს აქებებენ, შეხედეთ, მათმა ბლოკადამ რამდენი ზიანი მოგაყენათ სავაჭრო სფეროში. (პ. ვ.)

ვინდავაში. რუსებმა ჯერ ააფეთქეს რაც რამე საწყობები იყო ვინდავაში, გაანადგურეს ქარხნები და სახლები, დასწვეს რაც რამე საწინა ხე-ტყის მასალა მოთხოვებოდა და მერე დასტოვეს ქალაქი, რომელიც გერმანელებმა დაიჭირეს.

როგორც „Kur. War.“ იწყებს, მეტრლინეს სადღესასწაულო ჰიმნი დაუწყებია და მიუღწენია პოლონელ ხალხისთვის. „წამებულ ბელგის ხალხისაგან საღამს ვუძღვნი ჯვარზე ცეულ პოლონეთის ხალხს“, ასე იწყებს მეტრლინიკი თავის ჰიმნს.

რუმინიდან ოც კილომეტრის მაძილზე არსებობს ერთი პატარა რესპუბლიკა სახელად „სან-მარინო“. იტალია-ავსტრიის ომის დასაწყისშივე ამ პაპის რესპუბლიკამ თავის-თავი იტალიის ოკუპაციურ შარდებ გამოაცხადა. მთელი არმია ამ რესპუბლიკისა შესდგება 80 კაცისაგან. 200 კაცი ჩაეწერა მოხალისედ იტალიის ჯარში. მიუხედავად ასეთ უმნიშვნელო ძალისა, რასაც რესპუბლიკა „სან-მარინო“ წარმოადგენს, მან მაინც დიდი სამსახური გაუწია იტალიას იმით, რომ ის მფარველობს და იცავს იმ უმავიულო ტელეგრაფის სადგურს, რომლის განადგურება არა ერთხელ მოუნდომია გერმანიისა.

ბულგარეთის სამინისტროთა საბჭოს თავმჯდომარე რადოსლავოვი.

გაზეთ „Tempus“-ში მოყვანილია საუბარი, რომელიც გაზეთის ოფიციალ თანამშრომელს ჰქონია ბ-ნ რადოსლავოვთან. პირველი მინისტრი ამბობს: „ბულგარეთის პოლიტიკაში ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში არავითარი ცვლილება არ მოხდა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს. თუ მოკავშირეთა ცხურთ, ბულგარეთი იმ მო ჩაერთოს, უნდა კარგად იყოფინ, რომ ბულგარეთი დიდ კომპენსაციას და მტკიცე გარანტიას მოითხოვს. ბულგარეთის აქტიური გამოსვლა დაკავშირებული უნდა იყოს მის ეროვნულ მისწრაფებათა უტყუარ განხორციელების მიხედვით მავტლანის საკითხის საქმეში, რომელიც ბულგარეთის აღზას-ლორენია. ბულგარეთი იმითმად კი არ თხოულობს ამ თვითვე მკაფიო პირობებს ომში ჩასარგვად, თითქოს დროს მოგება სწადდეს მას და მოლაპარაკების ძალად გაჭიანურება. ბულგარეთი დიდი მოსურნეა ოთხთა შეთანხმებას გვერდში ამოუდგეს. დარწმუნ-

ბული ვარ, რა დღესაც ბულგარეთი გადასწყვეტს ბრძოლის ველზედ გამოსვლას, დარდაწულის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი იქნება, თუმცა ჯერ-ჯერობით მოლაპარაკება ოსმალეთთან გვაქვს, ისე როგორც ოთხთა შეთანხმებასთანაცაო.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია.

ჰაანეს, ბერნშტეინის და კაუტსკის მანიფესტმა დიდი ლიტერატურა შექმნა გერმანიაში. ამ ლიტერატურას მიემართა კიდევ ცნობილ ზოფდკუშის შრომა, რომელიც საკითხს სულ სხვანაირად აყენებს. ზოფდკუში აღმოფთვულია ჰაანესსა და მისი ამხანაგების გამოსვლით, რომლებსაც ის რომანტიკოსებს უწოდებს. ზოფდკუშის აზრით მათი რომანტიკოსობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ ესმით სოციალდემოკრატის მნიშვნელოვანი გერმანიის კონსერვატორებთან ბრძოლაში.

ავგისტოს დასაწყისში გერმანიის სოციალ-დემოკრატის ოფიციალ მეთაურთა თათბირი მოხდებ. გამოსაკვლევ საკითხად წამოყენებულია ზაგის პირობები და ანექსიის საკითხი.

კოოპერაციის რეაზი

კოოპერაცია—თანამშრომლობა, ამ სიტყვის უბრალო თუ ფართო მნიშვნელობით და საცა რამდენიმე კაცი ერთ საქმეზედ მუშაობს—ისინი უკვე შეერთებულნი არიან თანამშრომლობით. ამ მხრივ ქართველობას წარსულში უკვე შეუძნებია თანამშრომლობის კოოპერაციისა და ეხლაც ხშირად სარგებლობს მისი სიკეთით ჩვენი გლეხობა. ესეთი გახლავს, მაგ., მოდგამობა, როდესაც რამდენიმე ოჯახი შეერთდება იმ პირობით, რომ საერთოდ მოხნან მიწა. ზოგს გამოჰყავს ხარი, ზოგს გუთანი, ზოგს უღელ-ჰაპანი, ზოგს მუშა და ზოგსაც გუთნის დედა. ამ დამზადებული მანქანით ხნავენ იმდენ მიწას, რამდენიც საქმირა ყველასათვის, მაგრამ ისე კი, რომ ხსნავ მანქანის სხვა და სხვა ნაწილებს სხვა და სხვა ზომის ნახნავი მოდის. მაგ., თუ ერთმა ოჯახმა გამოიყვანა ორი უღელი ხარი და ოთხი დღისა მოუხუნეს, მაშინ უბრალო მხერგს მოხსნავენ ნახევარ დღეაურს, ან გუთნის დედას—ორი დღისა და სხ. და სხ. გარდა ამ რთული თანამშრომლობისა, არის უფრო სადღე: მამითაი, როდესაც რამდენიმე ოჯახს წევრი ერთდება ვინმე ობოლის, ღარიბი კაცის ყანის მოსამკაოდ, ან ერთმანეთს შევლიან; თუ საქმირა ყანის მომკა. ასეთივე თანამშრომლობაა საწყავე რუების გაყვანის თუ საზოგადოდ წყლის განაწილების დროსაც.

ჩვენში რამდენიმე სხვა სახის თანამშრომლობაც არის, მაგრამ ყველა ესენი ატარებენ დროებით ხასიათს, ე. ი. შესდგებიან განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ საქმისათვის და შემდეგ იშლება. მაგრამ რაკი ხალხს შეუთვისებია სიეთე ასეთგვარი მუშაობისა—ასეთი მოვლენა ხშირია თავისთავადც და უკანასკნელ დროს, კოოპერაციულ მოძრაობის ზეგავლენით უფრო ფართო ხასიათს იღებს. ეს ადგილი ასახსენელიცაა, რადგან ჩვენში კოოპერაციისათვის ერთგვარი კულტურული საძირკველი უკვე ჩაყრილია ზემოხსენებულ თანამშრომლობათა ისტორიული არსებობით. ამიტომ გხედავთ ჩვენ განხორბას. მაგ., ისეთ ამხანაგობებსა, როგორც სამკალი და სალევი მანქანების ერთად ამუშავება, ღვინისა და ხილის მწარმოებელთა თუ გამსაღებელთა შეერთება, მომხმარებელი საზოგადოება თუ საკრედიტო და სხ. და სხ. ყველა ეს ამხანაგობანი ზოგან შეგნებულად და ზოგან ჯერ მხოლოდ ალბათი უახლოვდებიან ნამდვილ კოოპერაციას, ე. ი. ისეთ თანამშრომლობას, რომელიც არსებობს არა დროულად, არამედ მოქმედებს მუდამ, განსაზღვრული წესის მიხედვით.

უმთავრესი საფუძველი ყველა კოოპერაციისა—გაჭირებაა. რამდენიმე კაცი, ოჯახი თუ ჯგუფი ერთდება იმ საქმისათვის, რომელსაც ცალ-ცალკე ვერ მოერგვა და იადილებს ცხოვრების პირობებისა და სხ. —ხელს გაუწვიან და შეითვისებენ მის დიდ მნიშვნელობას ეხლანდელ გაჭირებულ მდგომარეობის დროს. სხვა კოოპერაციებთან შეთანხმებით „მეურნე“ შესსლებს მომხმარებელთა კოოპერაციების გაერთიანებას და შემდეგ იქნება მწარმოებელთა უმუშაველ შეკავშირებასაც.

სხვათა ხელში გადადის. ცხოვრება თანდათან რეგულაციას მიტანს და მტრს მოეწყობა და შედგენს ქართველადამიანს და საწვავლანს ამისას კი არა ზრდის პროგრესიულად, არამედ არსებულსა სპობს ხელდასწრად. გაჭირება მიჩვეწყო, გაქცევა გიჩვენებო, უტყვამს ბრძნულად ხალხს და ინსტინქტი იქით გაქცეულა, საცა თანამშრომლობის დიდი საშეფოა. მართლაც, ყოველგვარი კოოპერაცია ადვილად იკადებს ფეხს ჩვენში და პრესის, შეგნებრილი ხალხის და ინტელიგენციის მოვალეობა,—ამ გაჭირებისაგან გასაცქევ ადგოს დიდი ყურადღება მიაქციოს. არ არის ისეთი დარკი წარმოებისა თუ ცხოვრებისა, საცა კოოპერაციის თვალსაჩინო ადვილი არ დაეპიროს, მაგ., ევროპაში, და არ არის არც ერთი იმგვარი დარკი ჩვენში, საცა კოოპერაციულ მოქმედებას არ შეეძლოს მთლად გარდაქმნაც კი სახალხო მეთრენობისა, არამც თუ აღორძინება გაუშვამებთა.

ამიტომ ქართველი მოწინავე საზოგადოება, რომელიც ყოველთვის ხალხს გაჭირებასა სჩივის და სტრის, დიდი თანაგრძობით და ნამდვილი ხელის შეწყობით უნდა შეხედეს ხოლომე ყოველ ამგვარ მოვლენას, ყოველს კოოპერაციეს, რომელიც მიხნად დაისახავს ჩვენი ხალხის მატერიალ და საკულტურო აღორძინებას. ქართველი საზოგადოება მოვალეა შეგნებით და მატერიალურად დახმაროს ისეთ კოოპერაციებს, რომელნიც ერთის მხრით აერთობენ ხალხს საერთო მიზნებისათვის და აჩვენენ თანამშრომლობას და მეორეც—ამაგრებენ იმ საერთო გეონომიურ საძირკველს, რომელზედაც აღმოცენდება ხოლომე ხალხის ყოველმხრივი კეთილდღეობა და ბედნიერება. ქართველი საზოგადოება ინსტიქტითა გარნობს კოოპერაციის დიდ მნიშვნელობას და დიდ დახმარებასაც უწევს, საცა ხელა მიუწვდება, მაგრამ ჯერ სრულიად არ არის შეგნებული ჩვენგან, თუ რა დიდ და საშვილიშვილო საქმეს ეყრება საძირკველი ყველა იმ თუნდ პაწია საქმეებით, რომელნიც ჩადებებიან სოფლად თუ ქალაქში კოოპერაციების სახით. რამდენიმე მწარმოებელ, მომხმარებელ, თუ საკრედიტო კოოპერაციეს უკვე თვალსაჩინო ნაყოფი გამოუღია და მათს გამრავლებას, მათს ბუნებრივ ზრდას და შეკავშირებას საერთო მოქმედებისათვის უადრესი მნიშვნელობა ექნება ჩვენში.

ამ მხრივ თანამედროვე ომმა ნამეტანის სიძლიერით გამოაჩინა სწორედ ყოველგვარი თანამშრომლობის მნიშვნელობა, მეტადრე მწარმოებელთა და მომხმარებელთა, როცა მეტად გაძვირდა ერთის მხრით, მუშა ხელი და მეორე მხრით—პირველ საქმირების ყოველი საგანი, როგორც წარმოებამში მუშის სიმცირე უნდა შეავსოს თანამშრომლობის ინტენსივობამ, ისე მომხმარებელთა შეკავშირებულმა და შეგნებულმა მოქმედებამ უნდა გააიფოს ყოველი საჭირო სახმარებელი საგანი და ალაგმოს უსაზღვრო საპეკულიაცია. მომხმარებელი კოოპერაცია, მაგ., თანაბრად საჭიროა როგორც სოფლისათვის, ისე ქალაქში და სწორედ ამანდ უნდა იყოს მიქცეული ჯგირიფანი ყურადღება. აქა-იქ სოფლებში და პროვინციაში უკვე დაარსდა რამდენიმე მომხმარებელი ამხანაგობა და მათ სჭირიათ ხელის შეწყობა ცენტრიდან, რომ ერთის მხრით, გაუადვილდეს არსებობა და მეორეს მხრით—შეასრულოს ნამდვილი თვისი დანიშნულება—გაიფოს საჭირო საქმისა და ხალხის შეკავშირება. ასეთი ცენტრალი კოოპერაციეი ერთ და იმავე დროს დაეკმაყოფილებს სოფელსაც და ქალაქს მომხმარებელსა და სხ. —ხელს გაუწვიან და შეითვისებენ მის დიდ მნიშვნელობას ეხლანდელ გაჭირებულ მდგომარეობის დროს. სხვა კოოპერაციებთან შეთანხმებით „მეურნე“ შესსლებს მომხმარებელთა კოოპერაციების გაერთიანებას და შემდეგ იქნება მწარმოებელთა უმუშაველ შეკავშირებასაც.

დავებაროთ „მეურნეს“, რომ იგი ერთი ათად დაგვეხმაროს ჩვენ და ჩვენს სოფელს.

### პ რ ს ა

აზრს“ ჩვენი აზრის დამაბნელებელი ვა-  
საყვედურით (იხ. ჩვენი გაზეთის № 41)  
და ვითხოვთ: როდის იყო რომ საქარ-  
ველოს საზღვრების აღნიშვნის თაობაზე  
„საქართველომ“ თვალის ჩაუკრა“ „სა-  
ხალხოს“ და შეთანხმება სთხოვა. ამა-  
სთან ისიც აღნიშნეთ, რომ ამ საქმეში  
ჩვენი და „სახალხოს“ შორის „არასო-  
დის და არასხივით“ ხიდი არ გაიღება.  
ესლა „აზრი“ ისევ ეჩინაობას და გას-  
ხლტას ლამობს. იგი სწერს:

მეგრე რა აქედან? შეთანხმება განა ყო-  
ველთვის კომპრომის ნიშნავს ან რიხი-  
ანთა გაცხადებული მოთხოვნებიდან მე-  
ბრძოლი ნაციონალიზმის არასოდეს არ  
მიიხრდილება?

საქმე იმაშია, რომ „საქართველო“  
„სახალხო გაზეთს“ ესაყვედურებდა: სი-  
ზიფის მუშაობას ნუ ეწყვი, აზრებებს  
„აზრს“ ვერ შეაცვლევინებ. ამიტომ  
სჯობს ისევ ჩვენ ვიკამათოთ. ეს არის  
მორცხვად თვალის გაკეთება.

ეს მორცხვად თვალის „გაკეთება“ კი  
არ არის, არამედ მეორე სიყალბეა „აზ-  
რის“ პრესის ავტორისა. ჩვენ „სა-  
ხალხოს“-თვის არ გვითხოვია კამათის  
გამართვა. ჩვენ მხოლოდ გამოვჩინებურეთ  
აღძრულ საკითხს, და თუ ეს გამოხმაუ-  
რება—პირდაპირი მოვალეობა ყოველ გა-  
ზეთისა ნიშნავს თვალის „გაკეთებას“,  
მაშინ „აზრი“ ყოველ ნომერში რამდენ-  
ჯერმე „უქეთებს“ თვალს ქართულსა და  
უფრო კი რუსულ პრესას.

რა იყო მთავარი საგანი ჩვენ შორის  
აღებულ დავის? ტერიტორიული პრინ-  
ციპი თვითმართველობის, რომლის შე-  
ნახებ ეწყვეტა:

იგი იწამს ავსტრიის ყველა ერთა  
სოც.-დემოკრატებმა (ბრიუნის კონგრეს-  
ზე), რუსეთში—პოლონელებმა, ლატი-  
შებმა, ფინებმა, მალორნელებმა, სომხებ-  
მა. დარჩენი მხოლოდ ებრაელები და  
ქართველები. ებრაელებს არც შეუძლი-  
ანთ მისი მიღება, რადგან ტერიტორია  
არა აქვთ. არც ქართველ სოც.-დემო-  
კრატებს შეუძლიანთ. რატომ? იმიტომ  
რომ მათ ათი წლის განმავლობაში ასი  
ტომი დასწერეს და ასი ათასჯერ სთქვეს:  
ტერიტორიული თვითმართველობა ბა-  
ტან-ყობის ადგილზეა, იგი უკიდურეს  
რეაქციონერება და შერაზმელთა იდეა-  
ლია. როგორ უნდა მოგვინათვლოს ეს  
მათ საუბრის ხელით ყველის გამოკრა.  
აი უბრალო მიზეზი „აზრელთა“ ეჩინა-  
ობისა.

„აზრმა“ აქედან ამოსწერა პირველი  
სამი სტრიქონი და დანარჩენს, ესე იგი  
დღედა-აზრს მიაწერა „და სხვა“. მან ხე-  
ლი სტაცა ორ სიტყვას—„ბრიუნის კონ-  
გრესს“ და ხაზგასმით უწოდა მას მტრე-  
რი სიტყუი“. სამწუხაროდ, ესლა ხელთ  
არა გვაქვს ოქმები ამ კონგრესისა, და  
როცა ვივლით, დადუბრუნდებით მას,  
იმას კი ვიტყვით წინააღმდეგ, რომ ამ  
კონგრესზე ავსტრიელ პოლონელთა სოც.-  
დემოკრატებმა თავის ბელადის და მინსკის  
სახელით მოითხოვა ტერიტორიული ავ-  
ტონომია. დღეა-აზრი ჩვენი პრესისა ბრი-  
უნის კონგრესი კი არ იყო, არამედ ალია-  
რუნა ტერიტორიული პრინციპის ავსტრი-  
ისა ტრუსეთის ყველა ერთა სოც.-დემ-ის  
მიერ, გარდა ქართველებისა და ებრაე-  
ლებისა. მიზეზი ამისა ამონაწერი ახს-  
ნილი. „აზრი“ კი მთავარ აზრს გაუსხლ-  
ტა, ბრიუნის კონგრესს შეასკუდა და  
მიიშალა.

ეს საკითხის გარკვევა კი არ არის,  
არამედ მისი მიშალვა და მიუწეჩება  
გახლავთ.

გაზეთი „ზემშინი“ ცხება იმ ცვლი-  
ლებას, რომელიც სამინისტროში მოხდა.  
გულგამწყალი იგი მკვამე სიტყვებით  
შეასპინძლებდა იმ რუსულ თანამომეტ,  
რომელიც შეცდომით და შეუცდომლად  
ამ ცვლილებაში აღმოაჩინეს მოავრობის  
ქრისის მარცხნით გადახრა. გაზეთი ამ-  
ბობს.

„...ყველაფერი ეს ჭორია და სისუ-  
ლული.“  
მეზარავენი თუ მეზარცხენი მთავრობა  
მხოლოდ იმ ქვეყნებში შეიძლება იყოს,  
საცა საპარლამენტო რეჟიმი და სადაც  
მინისტრები არა თავის მბრძანებლის  
თვლისყოფის ამსრულებელია, არამედ თავ-  
ანისი პარტიისა. არავითარ მარცხნით  
გადახრას არ მოასწავებთ ის ცვლილება,  
რომელიც სამინისტროში მოხდა ნებითა  
სრულიად რუსეთის თვითმპყრობელ მე-  
ფისათა,  
სათავეში ისევ ის ი. ლ. გორემიკინი

უღვას, რომელიც წინედ მეზარავენი  
სკაშე იჯდა სახელმწიფო საბჭოში; სი-  
ნოდის ობერ-პროკურორის ადგილას ზის  
სახელ. საბჭოს მეზარავენი ა. დ. სამა-  
რინი: სამხედრო მინისტრად სახელ. სა-  
ბჭოს მეზარავენი წვერი გენერალი პო-  
ლიგანოვი და იუსტიციის მინისტრად  
იმავ სახელ. საბჭოს მეზარავენი წვერი  
ა. ა. ხეოსტოვი.

ხალა თუ შინაგან საქმეთა ახალი მი-  
ნისტრი თავადი შერბატოვი სულით  
უფრო ნაციონალისტებს ენათესავება,  
ვიდრე მეზარავენი, ეს ოდნავად არ  
ნიშნავს მთავრობის გამეზარცხენებას.  
რაც შეეხება თავად შახოვსკის, ვერ  
გავივია, რით არის იგი უფრო პრო-  
გრესისტი, ვიდრე მისი წინამოადგილე;  
მოკლედ რომ მოვსკრათ, მთავრობის  
„გამეზარცხენება“ მოკლორი ზღაპა-  
რიაა“.

ახალ კლუბში. 12 ივლისს საგან-  
გებო კრება ჰქონდათ ახალ კლუბის წევ-  
რებს. თავმჯდომარეობდა პარ. ა. ვოთუა.  
კრებამ განიხილა ნახევარი წლის ფინან-  
სური ანგარიში. ამ წლის განმავლობაში  
ბალანსი უდრის 74,287 მანეთს. შემდეგ  
მომხმენელ იქნა მოხსენება კლუბის მოქ-  
მედების შესახებ უკანასკნელი 6 თვის  
განმავლობაში. მოხსენებიდან სჩანს, რომ  
კლუბის მოქმედება წარმატებაში შედის.  
კრებამ წლიური ბარჯთ-აღრიცხვის გა-  
რეშე გადასდო: 1) წლიურად ორკესტ-  
რის დასაქირავებლად 22,000 მანეთი,  
2) კლუბის შენობის შესაკეთებლად  
1,800 მან., 3) საკონცერტო და წარმო-  
დგენების დარბაზის გასაკეთებლად, რო-  
მელიც შარშან ცეცხლში იმსხვერპლა,  
15,000 მან., 4) კონცერტებისა და წარ-  
მოდგენების გასამართად 2,000 მან., 5)  
საკონცერტო იარაღების და საზოგადოდ  
მოდრავ ქონების შესაძენად 2,000 მან.  
და 6) მოსამსახურეებისათვის 500 მან.  
ბოლოს კრებამ მადლობა გადაუხადა მა-  
მასახლისთა საბჭოს მუყათი და ნაყო-  
ფიერ მუშაობისათვის.

ფარისკაცთა ოჯახებისათვის.  
თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა  
კომიტეტმა ათი თუმანი მიიღო კნ. ნი-  
ნო ლუარ. ასულის ყარაღაშვილისაგან  
თბილისის გუბერნიიდან გაწვეულ ჯარის-  
კაცთა ოჯახების სასარგებლოდ. ეს ფუ-  
ნდები შემოსულა პატივესულო კენისის  
თაოსნობით გამართულ სახალხო სეირ-  
ნობაზე თუქურშიშაში (სიღნაღის მახლა).

